საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ [redacted]
მობ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted]

განცხადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებებს ქვემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით რეგულირებულ იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

წინადადება N1 - საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება a) საკონსულო მომსახურების გაწევის შესაძლებლობის განსაზღვრას თანამემამულის სტატუსის მქონე (უცხო ქვეყნის მოქალაქე) პირებისათვის და b) მესამე ქვეყნის სახელით საკონსულო ფუნქციების განხორციელების შესახებ;

წინადადება N2 - საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება a) საკონსულო მოსაკრებლის საქართველოში გადახდის შესაძლბლობის შექმნას და b) პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთათვის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელ პირთა მსგავსი, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა ანალოგიურად, შეღავათებით სარგებლობის დაწესებას;

წინადადება N3 - დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება a) უმცროსი დიპლომატიური თანამდებობების სათანადოდ განსაზღვრას და b) საზღვარგარეთ დიპლომატიურ წარმომადგენლობების საშტატო ნუსხის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრას.

წინადადება N4 - უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება a) თანამემამულის სტატუსის მოპოვების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების სრულყოფას და b) თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივებას;

აქვე, ვფიქრობ რა ზემოხსენებული ყველა წინადადება შესაძლოა განეკუთვნებოეს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის კომპეტენციას, ისინი წარმოდგენილ იქნა ერთი განცხადებით (სხვა შემთხვევაში, სასურველი იქნებოდა ბიუროს გადაწყვეტილებაში ზემოხსენებული ნუმერაციის გათვალისწინება).

12/10/2023

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-13400/23
16.10.2023 ს. ფურცელი 13

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]
ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი a) - საკონსულო მომსახურების გაწევის შესაძლებლობის განსაზღვრა თანამემამულის სტატუსის მქონე (უცხო ქვეყნის მოქალაქე) პირებისათვის. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების თანახმად, საკონსულო თანამდებობის პირი იცავს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს ფიზიკური პირებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასევე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ ძირითადი საკონსულო ფუნქციები სრულდება მინისტრის ბრძანებით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ხოლო დელეგირებული საკონსულო ფუნქციები ხსენებული კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით. საკონსულო ფუნქციები განსაზღვრულია ამავე კანონის მე-11 მუხლით, რომლის თანახმად ძირითადი საკონსულო ფუნქციებია[1]: ა) კონსულტაციის გაწევა; ბ) სამართლებრივი დაცვა (მუხლი 13. პუნქტი 6 - უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საკონსულო თანამდებობის პირი გასცემს სხვადასხვა ცნობას, ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტს, ასრულებს და ამოწმებს დოკუმენტის თარგმანს, უზრუნველყოფს დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვას); გ) შუამდგომლობა; დ) საკონსულო ოლქის ფარგლებში სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო, ტრანსპორტის, ტურიზმისა და სამართლებრივ სფეროებში თანამშრომლობის ხელშეწყობა; ე) საკონსულო ოლქის შემოვლა; ვ) საკონსულო სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულების საერთო ზედამხედველობა; ზ) საკონსულო ლეგალიზაცია; თ) საქართველოს ვიზის გაცემა; ი) საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა; კ) საკონსულო აღრიცხვის წარმოება; ლ) საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოებისთვის სამართლებრივი დახმარების

[1] დელეგირებული საკონსულო ფუნქციებია: ა) საქართველოს მოქალაქეობასა და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები; ბ) საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები; გ) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები; დ) მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

გაწევა; მ) სანოტარო მოქმედებების შესრულება; ნ) საქართველოს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების საკონსულო მომსახურება. საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ზ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ფიზიკური პირი განმარტებულია, როგორც საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საზღვარგარეთ იმყოფება არა მხოლოდ საქართველოს დაახლოებით მილიონი მოქალაქე, არამედ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები (თანამემამულეები, რომელთაც მიგრაციაში წასვლის შემდგომ მიიღეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა) და ეთნიკურად ქართველი უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ისტორიული დიასპორა), რომელთაც შესაძლოა სანოტარო მოქმედებები (მაგ.: მინდობილობა) ან სხვადასხვა სახის ცნობების (მაგ.: სამოქალაქო აქტების შესახებ ან მოქალაქეობის შესახებ) შესაძლებელია დასჭირდეთ სწორედ, რომ საქართველოს მოქალაქეობის აღსადგენად/ თანამემამულის სტატუსის მოსაპოვებლად ან/და საქართველოსთან სხვადასხვა ტიპის კავშირის შესანარჩუნებლად. ცნობისათვის: უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სტატუსი, ამ კანონის გათვალისწინებით, შეიძლება მიიღოს სრულწლოვანმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

a) არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში
b) არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოს წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართულ-კავკასიურ ენებს.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის უფლებები, რომლის შესაბამისად - ზემოხსენებული სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა სპორტის შესაბამის სახეობაში საქართველოს ეროვნული ნაკრებში, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღოს განათლება, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმდეს საჯარო სამსახურში, გადაიხადოს შეღავათიანი პირობებით მოქალაქეობის მინიჭების საქმის განხილვის დროს და საქართველოში შემოვიდეწ და იმყოფებოდეს უვიზოდ 30 დღის განმავლობაში. სავარაუდოა, რომ ამ პროცესების (დოკუმენტების გაფორმებასთან დაკავშირებით მხარდაჭერა) უხელშეწყობას ასევე უნდა გულისხმობდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმად სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ ლოგიკური უნდა იყოს თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის რიგი საკონსულო მომსახურების მიღების შესაძლებლობაც (სანოტარო აქტები, სხვადასხვა სახის ცნობების გაფორმება, დოკუმენტის თარგმნა თარგმნა და ა.შ.), ამავდროულად, სხვა სახის ქმედებებისას (სამართლებრივი დაცვისას) რა თქმა უნდა მხედველობაში არის მისაღები

ადგილსამყოფელი ქვეყნის და საერთაშორისო ნორმები. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში (საკონსულო ფუნქციების შესრულების ზოგადი წესი) ცვლილებების შეტანა(პუნქტის დამატება), რომლის თანახმად დარეგულირებული იქნება ის შემთხვევები, როდესაც საკონსულო თანამდებობის პირი ძირითად საკონსულო ფუნქციებს განახორციელებს თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქესთან მიმართებით.

საკითხი b) - მესამე ქვეყნის სახელით საკონსულო ფუნქციების განხორციელების შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საკონსულო ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციის მე-8 მუხლის (საკონსულო ფუნქციების შესრულება მესამე სახელმწიფოს სახელით) შესაბამისად, ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის შესაბამისი შეტყობინების შემდეგ, წარმდგენი სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებას, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო წინააღმდეგი არ არის, შეუძლია საკონსულო ფუნქციები შეასრულოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მესამე სახელმწიფოს სახელით. აღნიშნულს შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს რიგი ორმხრივი საკონსულო კონვენციები (მაგალითად იტალიასთან - მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი). Convention of the Organization for Democracy and Economic Development – GUAM Member States on Mutual Assistance in Consular Matters - The Parties, by mutual agreement in each specific case, shall render each other mutual assistance regarding protection of the rights and interests of nationals of the Parties in third States, by the latter's consent, in cases where one of the Parties has no diplomatic representations and consular offices in such States. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საგულისხმოა, რომ საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით კი რეგულირდება სხვა სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების არარსებობის შემთხვევაში, მინისტრის გადაწყვეტილებით და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით, საკონსულო საქმიანობის საკონსულო დეპარტამენტის, ან მესამე სახელმწიფოში არსებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის საკონსულო თანამდებობის პირის მეშვეობის ან საკონსულო დაწესებულების მეშვეობით განხორციელების შესაძლებლობა ან/და საჭიროების შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში ასევე დროებით მივლენილმა საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომლის ან საზღვარგარეთ საქართველოს სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან სხვა საკონსულო დაწესებულებაში სამუშაოდ წარგზავნილი საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საკონსულო საქმიანობის შესაძლო განხორციელების საფუძვლები, თუმცა, მესამე სახელმწიფოს მიერ ან/და მესამე სახელმწიფოს სახელით საკონსულო ფუნქციების განხორციელებაზე ნორმები საერთოდ არ არის მოცემული, რაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით მოცემული ნორმებზე უფრო მკაფიო დამაზუსტებელი რეგულაციების მიღებას[2] (მე-4 მუხლში დამატებითი პუნქტების ასახვა,

[2]მაგ.: რა ტიპის დახმარების გაწევა იქნება გათვალისწინებული ასეთი შემთხვევებისათვის. COUNCIL DIRECTIVE (EU) 2015/637-ის მიხედვით The consular protection referred to in Article 2 may include assistance, inter alia, in the following situations: (a) arrest or detention; (b) being a victim of crime; (c) a

COUNCIL DIRECTIVE (EU) 2015/637 – on the coordination and cooperation measures to facilitate consular protection for unrepresented citizens of the Union in third countries and repealing Decision 95/553/EC რიგი ნორმების გაზიარება[3]). სახელმწიფოს განვითარების და რესურსების გაზრდის კვალდაკვალ, ევროინტეგრაციის პროცესისას - ხსენებული საკითხი მეტად აქტუალური გახდება საქართველოსათვის.

serious accident or serious illness; (d) death; (e) relief and repatriation in case of an emergency; (f) a need for emergency travel documents as provided for in Decision 96/409/CFSP.

[3] მაგ.: Article 5 Family members of unrepresented citizens in third countries. Consular protection shall be provided to family members, who are not themselves citizens of the Union, accompanying unrepresented citizens in a third country, to the same extent and on the same conditions as it would be provided to the family members of the citizens of the assisting Member State, who are not themselves citizens of the Union, in accordance with its national law or practice.

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]
ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი a) - პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთათვის საკონსულო მომსახურების მიღებისას საქართველოს მოქალაქეთა მსგავსი, მათ შორის დევნილებთან მიმართებით დაწესებული ანალოგიური შეღავათებით სარგებლობის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირი იცავს ადგილსამყოფელი ქვეყანაში საქართველოს ფიზიკური პირებისა და საქართველოს რეგისტრირებული იურიდიული პირების უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ასევე, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. ამავე კანონის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფიზიკური პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა ხორციელდება საკონსულო მომსახურებისა და საკონსულო დახმარების ფორმით. საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული კანონის მე-3 მუხლის დ ქვეპუნქტით, საქართველოს ფიზიკურ პირად, გარდა საქართველოს მოქალაქის და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირისა, მოიისაზრება ასევე პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებიც. ამასთან, საკონსულო სერვისების გაწევისათვის დადგენილი მოსაკრელის თუ შეღავათების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი (საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი) სავარაუდოდ არ უნდა ადგენდეს პირადობის ნეიტრალური მოწობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირთათვის შეღავათებს, გამომდინარე იქიდან, რომ არც საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონით აღარ გვხვდება საქართველოს ფიზიკური პირი და მისი განმარტება და არც ამავე კანონის მე-5 მუხლში (შეღავათები საკონსულო მოსაკრებლის გადახდაზე) არ არის მითითებითი ნორმა ნეიტრალურ დოკუმენტების მფლობელი პირებისათვის შეღავათების დაწესებაზე. ხსენებული პირები, სავარაუდოდ საკონსულო მოსაკრებლის გადახდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ისარგებლებენ შეღავათებით თუ გაუფორმდებათ მათ დასაბრუნებელი მოწმობა, როგორც 18 წლამდე პირებს, რეადმისიის დროს (როდესაც განაცხადი ელექტრონული პროგრამით იქნება წარდგენილი) და ადგილსამყოფელ ქვეყანაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შემცველი მდგომარეობისას. ასევე, საქართველოში ნეშთის გადმოსვენებისას საჭირო დოკუმენტების ლეგალიზაციისა და დოკუმენტების თარგმნისას - რაც ვფიქრობ, რომ არაშესატყვისად უნდა გამოხატავდეს

სახელმწიფო პოლიტიკას/ სოციალურ დაცულობას. საგულისხმოა, რომ კანონით გარდა 100%-იანი შეღავათების დაწესებისა, საკონსულო მოსაკრებლის 50% გადახდისაგან ათავისუფლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს (რიგ შემთხვევებში) და იძულებით გადაადგილებულ პირებად - დევნილებად ცნობილებს (მუხლი 5, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ა). გარდა ამისა, საზღვარგარეთ მყოფი ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი ლოგიკურია თუ განვიხილავთ კონფლიქტით დაზარალებულ პირად, რომლის მიმართ არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელთათვის დაწესებული/ განკუთვნილი მსგავსი შეღავათებით სარგებლობა (100 % ით გათავისუფლება მომსახურების გადასახდელისაგან), არამედ დევნილების ანალოგიური შეღავათების (50 %-ით გათავისუფლება) დაწესება გონივრული იქნებოდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

საკითხი b) - საკონსულო მოსაკრებლის საქარველოში გადახდის შესაძლებლობის შექმნის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებელი გადაიხდევინება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ საკონსულო მოქმედებების შესრულებისათვის ან/და საკონსულო მომსახურების გაწევისათვის. საგულისხმოა, რომ საკონსულო მოსაკრებლის გადახდა საჭიროებს ისეთი მომსახურების დროს, როდესაც დეპორტაციას დაქვემდებარებული პირისათვის უნდა გაიცეს საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა. ასეთ ვითარებაში თავად დაკავებულისა და მისი ოჯახის წევრებისათვის/ ახლობლებისათვის მნიშვნელოვანია პროცესი დროულად და შეუფერხებლად განხორციელდეს - თუმცა, ადგილსამყოფელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ - რიგ შემთხვევებში პროცედურები ფორსმაჟორული ხასიათით არ ხორციელდება, რასაც ასევე უშლის ხელს დასაბრუნებელი მოწმობის საფასურისათვის განსაზღვრული თანხის (35 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტაში) დროულად ვერ გამოყოფის/ გახარჯვის პროცედურული შეუძლებლობაც. გამოწვევა კიდევ მეტად იზრდება თუ დაკავებულ პირს არავინ ჰყავს ადგილსამყოფელ ქვეყანაში, რათა თავად უზრუნველყოს დიპლომატიური წარმომადგენლობის საბანკო ანგარიშზე საკონსულო მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხის გადახდა. მოცემული პროცესის ალტერნატივად კი შესაძლოა განვიხილოთ - საქართველოში მყოფი მისი ნათესავის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშზე თანხის გადახდა, რომელიც დაერთვება საკონსულო დახმარების შესახებ შუამდგომლობის განცხადებას (გადაეგზავნება უფლებამოსილ საკონსულო თანამდებობის პირს). ამასთან მხედველობაშია მისაღები შემდეგი:

- საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი არ ითვალისწინებს დეპორტაციას დაქვემდებარებული პირისათვის შეღავათების დაწესებას (ცნობისათვის: საქართველოს მთავრობის 29/12/2011 508 დადგენილებით საფასურისაგან თავისუფლდებიან საზღვარგარეთ

სასჯელაღსრულების ან თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებაში და სადეპორტაციო განყოფილებაში მყოფი პირები);

- საკონსულო დეპარტამენტის დებულების (დამტკიცებული საგარეო საქმეთა მინისტრის 08/12/2009 N255 ბრძანებით) მე-5 მუხლის ბ.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, ხსენებული სტრუქტურული ერთეულის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონწულო დაწესებულებისათვის დახმარების გაწევა. საქართველოს მთავრობის 30/06/2014 426 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ მოიპოვება ფოტოსურათიანი ჩანაწერი ან ფოტოსურათის არსებობის დროს ვერ დგინდება პირის იდენტურობა განცხადებაზე თანდართულ ფოტოსურათთან ხანდაზმულობის ან სხვა მიზეზის გამო, ფოტოსურათზე გამოსახული პირის იდენტურობა განაცხადში მითითებული პირის მონაცემებთან საკონსულო დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის თანდასწრებითაც წერილობით შეიძლება დაადასტუროს საქართველოს ნებისმიერმა ქმედუნარიანმა მოქალაქემ.

ზემოხსენებული გარემოებები, ვფიქრობ, რომ ქმნის შესაძლებლობას - რათა მოქალაქეთა წინაშე არსებული გამოწვევების შემცირების გამო, შეიქმნას მექანიზმი ზოგიერთი საკონსულო მომსახურებისათვის განსაზღვრული საკონსულო მოსაკრებლის საქართველოში გადახდასთან დაკავშირებით. ასეთი ტიპის საკითხებს ასევე შეიძლება დაუკავშირდეს იმ ტიპის საქართველოს ვიზის გაცემის საკითხიც, რომელიც შესაძებელია საჭიროებდეს მოწვევას. ლოგიკური უნდა იყოს ალბათ, რომ მაშინ როდესაც საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირი - უცხოელი სტუმრის/ ვიზიტორის საცხოვრის/ დღიურ ხარჯებს თავის თავზე იღებს (რაც ასევე დოკუმენტალურად დასტურდება), მანვე (საქართველოში მყოფმა) - მისთვის ძვირფას სტუმარს გადაუხადოს სავიზო საკონსულო მოსაკრებელიც. შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლს დაემატოს პირველი პრიმა პუნქტი - რომლის შესაბამისად - დეპორტაციას/ გაძევებას დაქვემდებარებული პირის საკონსულო მომსახურებისათვის და მოწვევის საფუძველზე გასაცემული პირის სავიზო მომსახურებისათვის განსაზღვრული საკონსულო მოსაკრებელი შესაძლებელია გადახდილი იქნეს საგარეო საქმეთა სამინისტროს საბანკო/ სახაზინო ანგარიშზე

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted];
ელ. ფოსტა [redacted]. რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]}

ცვლილების სახეობა: დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი a) - უმცროსი დიპლომატიური თანამდებობების სათანადოდ განსაზღვრის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით (11, 12, 13, 14 მუხლები) მოცემულია დიპლომატიური თანამდებობები, მათ შორის უმცროსი დიპლომატიური თანამდებობები, რომლებიც მოიცავს შემდეგს: ვიცე კონსული, პირველი მდივანი, საკონსულო აგენტი, მეორე მდივანი, მესამე მდივანი, თავდაცვის ატაშეს აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები, პოლიციის/ უსაფრთხოების ატაშესა და მეკავშირე ოფიცრის აპარატის მოსამსახურეები. საგულისხმოა, რომ მოცემულ ჩამონათვალში არ გვხვდება პირველადი დიპლომატიური თანამდებობა - ატაშე. სავარაუდოდ არასაკმარისი სახელფასო ოდენობის გამო, საზღვარგარეთ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში არ გვხვდება ატაშეს თანამდებობრივი პოზიცია, თუმცა, იგი გვხვდება ცენტრალურ აპარატში, მათ შორის ხსენებული ვაკანტური თანამდებობები იქნა გამოტანილი ბოლო წლებში გამოცხადებული ღია კონკურსისას. შესაბამისად დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლს მიზანშეწონილია შესწორდეს ჩამონათვალი და დაემატოს მას ატაშეს თანამდებობრივი პოზიცია. ცნობისათვის: კანონით - მეორე და მესამე მდივნებზე მაღლა მდგომად გვხვდება საკონსულო აგენტი. საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, საკონსულო დაწესებულებათა მეთაურები იყოფიან ოთხ კლასად, სახელდობრ: a) გენერალურ კონსულებად, b) კონსულებად, c) ვიცე-კონსულებად, d) საკონსულოს აგენტებად. ამ მუხლის პირველი პუნქტი სრულიად არ ზღუდავს ხელშემკვრელ მხარეთაგან არც ერთს განსაზღვრონ საკონსულოს თანამდებობის პირთა დასახელება, რომლებიც არ არიან საკონსულო დაწესებულების მეთაურები. საგარეო საქმეთა მინისტრის 09/07/2013 158 ბრძანების შესაბამისად, საკონსულო სააგენტოს საკონსულო თანამდებობის პირთა მაქსიმალური ოდენობა შესაძლოა იყოს ერთი საშტატო ერთეული. საკონსულო დაწესებულებები იერარქიის მიხედვით იყოფა შემდეგ კლასებად: გენერალური საკონსულო; საკონსულო; ვიცე-საკონსულო და საკონსულო სააგენტო. შესაბამისად

საკონსულო სააგენტოს ხელმძღვანელი ვერ დაიქვემდებარებს ვერც ვიცე-კონსულს და ვერც სხვა საშტატო ერთეულს

საკითხი b) - საზღვარგარეთ დიპლომატიურ წარმომადგენლობების საშტატო ნუსხის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საზღვარგარეთ საქართველოს ზოგიერთი დიპლომატიური წარმომადგენლობის ვებ გვერდების თანახმად მათი საშტატო ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება.

ავსტრიაში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დესპანი დესპანი უფროსი მრჩეველი უფროსი მრჩეველი\ მრჩეველი კონსული სამხედრო წარმომადგენელი - ფინანსური მენეჯერი	საბერძნეთში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უფროსი მრჩეველი უფროსი მრჩეველი მრჩეველი კონსული ვიცე-კონსული პირველი მდივანი ფინანსური მენეჯერი	ლიეტუვაში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უფროსი მრჩეველი კონსული თავდაცვის ატაშე თავდაცვის ატაშეს მოადგილე პირველი მდივანი ფინანსური მენეჯერი	საფრანგეთში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უფროსი მრჩეველი უფროსი მრჩეველი მრჩეველი კონსული ვიცე-კონსული თავდაცვის ატაშე პოლიციის ატაშე
პორტუგალიაში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი კონსული ადმინისტრაციული მენეჯერი	დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დესპანი კონსული მრჩეველი მრჩეველი პირველი მდივანი თავდაცვის ატაშე ფინანსური მენეჯერი	შვეიცარიაში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დესპანი უფროსი მრჩეველი კონსული ფინანსური მენეჯერი თავდაცვის ატაშე	ნიდერლანდებში საქართველოს საელჩო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უფროსი მრჩეველი კონსული მრჩეველი მრჩეველი ფინანსური მენეჯერი

რაც შეეხება საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებული DIPLOMATIC LIST-ის ფაილში (16/08/2023 მდგომარეობით) ასახული მონაცემების შესაბამისად:

ავსტრიის საელჩო საქართველოში	საბერძნეთის საელჩო საქართველოში	ლიეტუვის საელჩო საქართველოში	საფრანგეთის საელჩო საქართველოში
Ambassador Extraordinary and Plenipotentiar Deputy Head of Mission, Counsellor/Consul Colonel Defence Attaché (with residence in Kiev) Education Attaché	Ambassador Extraordinary and Plenipotentiary 1st Counsellor Attaché, Informatics and Communication Section Attaché	Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Minister Plenipotentiary, DHM Attaché, Head of Consular Section Chief Officer LTC Defence Attaché	Ambassador Extraordinary and Plenipotentiary 1 st Counsellor 1 st Secretary 2 nd Secretary 3 rd Secretary Cultural and Cooperation Counsellor, Director of the French Institute Internal Security Attaché Defence Attaché Aubert – Consul Head of Economic Mission
პორტუგალიის საელჩო საქართველოში (ანკარიდან)	**დიდი ბრიტანეთის საელჩო საქართველოში**	**შვეიცარიის საელჩო საქართველოში**	**ნიდერლანდების საელჩო საქართველოში**
Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Deputy Head of Mission Head of the Consular Section Economic and Commercial Counsellor Political Counsellor	Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Deputy Head of Mission Defence Attaché Deputy Defence Attaché Deputy Defence Attaché Assistant Defence attaché Strategic Defence Advisor British Army Liaison Officer Political Counsellor 1 st Secretary (Head of Regional Affairs) 1 st Secretary (Regional Affairs) 2 nd Secretary (Political) 2 nd Secretary Security and Foreign Policy 2 nd Secretary (Regional Affairs) 2 nd Secretary (Regional Affairs) 2 nd Secretary (Regional Affairs)	Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Counsellor, DHM Counsellor, Regional Director of the Swiss Cooperation Office for the South Caucasus Mr. Norbert Anton Rütsche – Counsellor, Human Security Adviser Secretary for Cooperation, Development and Humanitarian Aid, Head of Finances, Personnel and Administretion 1 st Secretary, Consul Defence Attaché (with residence in Ankara)	Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Chargé d'Affaires a.i., Counsellor 2 nd Secretary Attaché

ზემოხსენებული ცხრილის შესაბამისად, თვალნათელია, რომ მაშინ როდესაც საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში გვხვდება საკონსულო

თანამდებობის პირების (კონსული, ვიცე-კონსული) საშტატო ერთეული, ასეთი თანამდებობა არაა მოცემული ევროპული ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებში (სავარაუდოდ დიპლომატიურ თანამდებობის პირს ევალება საკონსულო ფუნქციები, კონსულის უფლებამოსილების განხორციელება). აქვე, საგულისხმოა, რომ ევროპული ქვეყნების შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები საელჩოს თანამშრომლებს, რომელთაც ევალებათ საკონსულო ფუნქციების განხორციელება აძლევენ მრჩევლის, ან უფროსი მრჩევლის ან თუგინდ პურველი მდივნის აკრედიტაციას, თუმცა კონსულის ან ვიცე-კონსულის აკრედიტაციას დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელთათვის არ ხდება.

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]
ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკითხი a) - თანამემამულის სტატუსის მოპოვების მიზნით წარსადგენად საჭირო დოკუმენტების და პროცედურების სრულყოფის შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სტატუსი, ამ კანონის გათვალისწინებით, შეიძლება მიიღოს სრულწლოვანმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში
- არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოს წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართულ-კავკასიურ ენებს.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო არ განსაზღვრავს თუ რომელია ქართულ (იბერიულ) - კავკასიურ ენებს, რაც შესაძლოა მოითხოვდეს სამართლებრივ დონეზე რეგულირებას. ამასთან, კანონის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ მკაფიოდ არის დასარეგულირებელი არასრულწლოვანთან მიმართებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სავალდებულოობა (დაბადების მოწმობის წარმოდგენის საჭიროება არ იყოს განსასაზღვრი მხოლოდ მშობლის მიერ), სხვა შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (რომლის მიხედვითაც - ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ააქვს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება) და 81-ე მუხლის 1-ლი პუნქტის (ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია, კანონმდებლობით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა) მოთხოვნების უგულვებელყოფასთან. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სავალდებულო

დადასტურების საჭიროების მიზნით, მე-4 მუხლის 1-ელ და მე-3 პუნქტებში ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით - უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სტატუსის მაძიებელი პირისათვის, განცხადებასთან ერთად წარსადგენად სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს ა) ორი ფოტოსურათი; ბ) პასპორტი ან მოქალაქეობის და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი; გ) სამოტივაციო წერილი და დ) მომსახურებიწ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მე-4 მუხლით დასასშვები ხდება არასრულწლოვანთან, მშობლის განცხადების საფუძვლად - მიენიჭოს ზემოხსენებული სტატუსი, კანონით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებას (დაბადების მოწმობის ან მისი შემცვლელი დოკუმენტის წარდგენა) არა სავალდებულოდ არამედ ნებაყოფლობით (შესაძლებლობის გათვალისწინებით) ითხოვს. ამასთან, ვფიქრობ, რომ თანამემამულის სტატუსის მიღების მსურველ პირთან მიმართებით არანაკლებ ორი რეკომენდაციის (ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქისაგან/ თანამემამულის სტატუსის მქონე პირისაგან ან დიასპორული ოგანიზაციისაგან) წარდგენა (არა მხოლოდ დახასიათების/ პიროვნების დადებითი მხარეების ჩვენების ფორმით, არამედ საქართველოს წარმომავლობასთან ან/და მისი მშობლიური ენის ქართულ-კავკასიურ ენებთან მიკუთვნების შესახებ) - მეტად დაასაბუთებდა აპლიკანტის შესაბამისობას კანონით განსაზღვრულ მიზნებთან, ასევე, ხელს შეუწყობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს/ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ საკითხის შესწავლის პროცესს. ცნობისათვის: რეკომენდაციების წარდგენის საჭიროებას ვხვდებით უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების დროს, ასევე, საპატიო კონსულის კანდიდატის საკითხის შესწავლისას.

საკითხი ხ) - თანამემამულის სტატუსის მქონე პირისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სტატუსი, ამ კანონის გათვალისწინებით, შეიძლება მიიღოს სრულწლოვანმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში
- არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოს წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართულ-კავკასიურ ენებს.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის უფლებები, რომლის შესაბამისად - ზემოხსენებული სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა სპორტის შესაბამის სახეობაში საქართველოს ეროვნული ნაკრებში, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღოს განათლება, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმდეს საჯარო სამსახურში, გადაიხადოს შეღავათიანი პირობებით მოქალაქეობის მინიჭების საქმის განხილვის დროს და საქართველოში შემოვიდეწ და იმყოფებოდეს უვიზოდ 30 დღის

განმავლობაში. საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის 05/06/2015 256 დადგენილებით - 50 სახელმწიფოს ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მფლობელ პირ(ებ)ს - საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და ყოფნა შეუძლიათ ნებისმიერი 180 დღიან პერიოდში 90 კალენდარული დღის ვადით - უფრო ხანგრძლივი პერიდით ვიდრე ამას თანამემამულის სტატუსის მქონე პირს უფლება გააჩნია. ამასთან, მხედველობაში არის მისაღები საქართველოს მთავრობის 05/06/2015 256 დადგენილებაც და საქართველოს ორმხრივი/ მრავალმხრივი შეთანხმებებიც, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის თურქეთის (365 დღე), აზერბაიჯანის (365 დღე), რუსეთის (365 დღე), აშშ-ს (365 დღე), იტალიის (356 დღე) ირანის (45 დღე) და საბერძნეთის (365 დღე) მოქალაქეებს დაწესებული აქვთ საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და ყოფნის რეჟიმი. შესაბამისად - იქ სადაც მაღალია საქართველოს მოქალაქეთა მიგრაცია ან ადგილსამყოფელი ქვეყანა წარმოადგენს ისტორიული დიასპორის ადგილს - მოცემული სახელმწიფოს მოქალაქისათვის, რომელსაც არ გააჩნია თანამემამულის სტატუსი საქართველოს სახელმწიფო უსაზღვრავს უფრო ხანგრძლივ უვიზოდ ყოფნის პერიოდს, ვიდრე ასეთი სტატუსის ფლობის შემთხვევაში მიეცემოდა. საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზით შეიძლება დავასკვნათ ასევე, რომ საქართველოს სახელმწიფო უფრო მეტი ნდობა გააჩნია - სხვა ქვეყნის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გაცემული ვიზის და ბინადრობის ნებართვების მქონე პირებისადმი, ვიდრე მაშინ - როდესაც თავად აძლევს თანამემამულის სტატუსს დაინტერესებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს და რომლის საფუძვლადაც, სავარაუდოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლს მე-8 პუნქტით (სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე) გათვალისწინებული პროცესის ხელშეწყობის მიზნით აძლევს საქართველოს ბინადრობის მოწმობასაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის (შესაძლებლობების) არანაკლებ მთავრობის 256 დადგენილებით განსაზღვრულ პირებთან გათანაბრება - შესაბამისად უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის ბ ქვეპუნქტში - ნაცვლად არაუმეტეს 30 დღისა - განისაზღვროს ქვემოაღნიშნული ერთ-ერთი პერიოდი

- ან ნებისმიერ 180 დღიან პერიოდში 90 კალენდარული დღის ვადით
- ან ერთი წლის ვადით.

საქართველო

6063-01-2-202103121720

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/6063
12/03/2021

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**
[redacted]
ელ. ფოსტა [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2021 წლის 2 თებერვლის განცხადების (რეგისტრაციის N3272/01) პასუხად, დანართის სახით გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დანართი: 17 (ჩვიდმეტი) გვერდი;

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

1. **საზღვარგარეთ საქართველოს თანამემამულეთა რაოდენობა და მათი განსახლების ძირითადი ადგილები (ქვეყნები/ რეგიონები/ ქალაქები):**

პასუხი: არაოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ საქართველოს მილონ ნახევრამდე მოქალაქე იმყოფება. ინფორმაცია უცხოეთში მყოფი თანამემამულეების რაოდენობისა და მათი ძირითადი განსახლების ქალაქების მითითებით:

ავსტრიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად დიდ ქალაქებში - ვენაში, ლინცში, გრაცსა და ზალცბურგში ცხოვრობენ. შედარებით ნაკლებია მათი რაოდენობა კლაგენფურტში, ინსბრუკსა და ბრეგენცში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 10 ათასამდე მოქალაქე იმყოფება. გარდა ამისა, კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში წარმოდგენილია ისტორიული დიასპორა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკური ქართველები, რომელთა გარკვეულ ნაწილს მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. რეგიონში 15 ათასამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს: კახის რაიონში, ძირითადად, ქართული გვარ-სახელის მქონე მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში - აზერბაიჯანული გვარ-სახელის მქონე მუსლიმები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალური მონაცემებით, აზერბაიჯანში 2009 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ზემოაღნიშნულ რაიონებში ფიქსირდება 7849 ეთნიკური ქართველი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 100 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსისა და კალიფორნიის შტატებში ცხოვრობენ.

ბელარუსის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ცხოვრობს საქართველოს 5 000-მდე მოქალაქე. ქართველთა უმეტესობა განსახლებულია მინსკსა და ოლქების ცენტრებში: ბრესტი, გომელი, მოგილოვი, გროდნო, ვიტებსკი.

ბელგიის სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 20 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველების უმრავლესობა ცხოვრობს ბრიუსელში, ანტვერპენსა და ლიეჟში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში, სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, იმყოფება საქართველოს 30 000-მდე მოქალაქე. ძირითადად ცხოვრობენ ბავარიის, ბადენ-ვიურტემბერგის, ქვედა საქსონიის, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის, რაინლანდ-პფალცის, საქსონიის და ჰესენის ფედერალური მიწების დიდ ქალაქებში.

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები ქართველების რაოდენობა, არაოფიციალური მონაცემებით, 10 000-ს შეადგენს. ქართველები ძირითადად დიდ ქალაქებში, ლონდონში, ბირმინგემში, ბრისტოლში, გლაზგოსა და ედინბურგში ცხოვრობენ.

ესპანეთის სამეფოში, სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 35 000 მოქალაქე იმყოფება. მათი უმეტესობა კონცენტრირებულნი არიან შემდეგ ქალაქებში: ბარსელონა, მადრიდი, ალიკანტე, ვალენსია, არნედო.

ესტონეთში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 1000-მდე მოქალაქე იმყოფება. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ქვეყნის დედაქალაქში, ტალინში ცხოვრობს.

თურქეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოქალაქე რაოდენობა 60 000-მდე მერყეობს.

ირლანდიაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 2 000-ს აღწევს, რომელთა უმრავლესობა დუბლინში ცხოვრობს.

ისრაელის სახელმწიფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 20 000-მდე თანამემამულე იმყოფება. ქართველები, ძირითადად, თელ ავივში, ხულონსა და ლოდში ცხოვრობენ.

იტალიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში 40 000-მდე საქართველოს მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან აპულიას (ბარი), ტოსკანას (ფლორენცია), ემილია რომანას (ბოლონია), ლაციოსა (რომი) და ლომბარდიის (მილანი) რეგიონებში.

კანადაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5000-მდე მოქალაქე იმყოფება. ჩვენი თანამემამულეები ძირითადად ტორონტოში, მონრეალში, ვანკუვერსა და ედმონტონში არიან კონცენტრირებული.

კვიპროსის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს 10 000-მდე მოქალაქე იმყოფება. მათი უმეტესობა ძირითადად ქ. ნიკოზიაში, ქ. ლიმასოლსა და ქ. პაფოსში ცხოვრობს.

ლატვიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 500-მდე შეადგენს და ძირითადად ცხოვრობენ ქ. რიგაში.

ლიეტუვას რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 500-მდე შეადგენს და ძირითადად ცხოვრობენ ქ. ვილნიუსში.

მოლდოვას რესპუბლიკაში არაოფიციალური მონაცემებით, მოლდოვაში 500-მდე ქართველია. ისინი, ძირითადად, ქ. კიშინიოვში ცხოვრობენ.

ნიდერლანდების სამეფოში არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5 000-მდე თანამემამულე იმყოფება, ქართული დიასპორის ძირითადი ნაწილი ქ. ამსტერდამში ცხოვრობს.

პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 12 000-მდე იმყოფება.

პორტუგალიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 3000-მდე მოქალაქე ცხოვრობს. ჩვენი თანამემამულეები ძირითადად ქ. ლისაბონსა და ქ. პორტოში ცხოვრობენ.

რუსეთის ფედერაციაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოქალაქე რაოდენობა 700 000 - 800 000 შეადგენს. ქართული დიასპორის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. მოსკოვსა და ქ. სანქტ–პეტერბურგში, თუმცა რეგიონებშიც ქართველთა დიდი რაოდენობაა კონცენტრირებული.

საბერძნეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, 200 000-მდე თანამემამულე ცხოვრობს. ქართველთა განსახლების ქალაქებია: ქ. ათენი, ქ. თესალონიკი, ქ. ნავპლიო და, ასევე, არიან კუნძულ კრეტაზე.

საფრანგეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საფრანგეთში 20 000-მდე ქართველი მიგრანტი ცხოვრობს. ქართველები ძირითადად ცხოვრობენ ქ. პარიზში, ქ. სტრასბურგში, ქ. ნანტში, ქ. რეიმსში, ქ. მონპელიეში.

სომხეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 1500-მდე მოქალაქე იმყოფება. მათი დიდი ნაწილი განსახლებულია ქ. ერევანში.

უკრაინაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 50 000-მდე მოქალაქე ცხოვრობს, რომელთა უმეტესობა განსახლებულია ქალაქებში: კიევი, ოდესა, ხარკოვი, ლვოვი და დნეპრი.

ფინეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 500-მდე მოქალაქე იმყოფება. თანამემამულეები ძირითადად ჰელსინკიში, ტამპერეში, ტურკუსა და როვანიემში ცხოვრობენ.

ყაზახეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ქართველთა სავარაუდო რაოდენობა 10 000 ადამიანს შეადგენს. იმყოფებიან შემდეგ ქალაქებში: ნურსულთანი, ალმათი, აქტაუ, ატირაუ და ყარაგანდა.

შვედეთის სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, იმყოფება საქართველოს 3 000-მდე მოქალაქე. ქართველების უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ქალაქებში: სტოკჰოლმი, გოტენბურგი, მალმო და ლუნდი.

შვეიცარიის კონფედერაციაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 2 000-მდე მოქალაქე იმყოფება. თანამემამულეების უმეტესობა ცხოვრობს ციურიხში, ლუგანოსა და ბაზელში.

ჩეხეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 3 000-მდე ქართველია და ძირითადად ქ. პრაღაში ცხოვრობს.

2. **საზღვარგარეთ საქართველოს თანამემამულეთა საქმიანობის და სახელმწიფო მხარდაჭერის საჭიროებების ძირითადი სფეროები;**
   - **პასუხი:** საზღვარგარეთ ემიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია ძირითადად ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებთან. ადგილსამყოფელ ქვეყნებში თანამემამულეები როგორც ლეგალური (მუდმივი ან დროებითი ბინადრობის ნებართვები და მოქალაქეობა), ისე არალეგალური სტატუსით იმყოფებიან. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობას შრომითი მიგრანტები წარმოადგენენ და ადგილსამყოფელ ქვეყნებში ძირითადად ოჯახებში დიასახლისებად მუშაობენ. ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შორის, ასევე, არიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ: კულტურის, ხელოვნების, მედიცინის, ბიზნესის სფეროებში, ასევე არიან სტუდენტები და აკადემიურ სფეროში მოღვაწე თანამემამულეები.

3. **თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მიმართ არსებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის (როგორც საშინაო, ასევე საგარეო მიმართულებით) განმსაზღვრელი დოკუმენტები;**
   - საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ - დანართი 2.
   - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ - დანართი 3.
   - თანამემამულეთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები გათვალისწინებულია 2021 – 2024 წლების სამთავრობო პროგრამაში: „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში და საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში.

4. **თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემები და გამოწვევები (ასეთი საკითხების იდენტიფიცირების არ განხორციელების შემთხვევაში, ასევე, გთხოვთ, მეცნობოს);**
   - **პასუხი:** 2020 წელს, დიასპორის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულფასოვნად განხორციელებას ხელი შეუშალა მსოფლიოში გავრცელებულმა, კორონავირუსით (COVID-19)-ით გამოწვეულმა პანდემიამ. მიუხედავად დაწესებული შეზღუდვებისა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეძლო რიგი პროგრამისა და აქტივობის განხორციელება.

5. **დიასპორის საკითხთა მიმართულების სახელმწიფო მინისტრის აპარატის და სამინისტროს ქვეშ ფუნქციონირების შედეგების და შესაძლებლობების შედარებითი ანალიზი (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ასევე, გთხოვთ, მეცნობოს);**

➢ **პასუხი:** დიასპორის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისა და მათი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, 2017 წლიდან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. დიასპორის საკითხების საგარეო უწყებაში გადასვლა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებს თავის ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განიხილავს და ამ ფორმით, დიასპორაზე, როგორც სამშობლოს განუყოფელ ნაწილზე ზრუნვას, მისი ინტერესების დაცვას და მათი წარმოშობის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობას უფრო მაღალ ხარისხში მოიაზრებს. დიასპორასთან დაკავშირებული პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად, გააგრძელა და გააფართოვა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის არსებობისას დაწყებული პროექტების განხორციელება. დეპარტამენტის ინიციატივით არაერთი ახალი პროგრამის თუ აქტივობის განხორციელება დაწიყო. დიასპორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა დიასპორასთან ურთიერთობის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი - პროგრამა „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა". აღსანიშნავია, რომ ეს არის სტრატეგიული ხედვა და დიასპორასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საქმიანობის სამოქმედო გეგმა, რომელიც მსგავსი სახით პირველად იქნა მიღებული. საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესში და საქართველოს ახალ კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას იზრუნოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, დიასპორის წარმომადგენელებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ახორციელებს თემატურ პროგრამებსა და აქტივობებს, რომელთა ნაწილი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის არსებობის დროსაც ხორციელდებოდა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და განათლების საკითხებს. საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებში სწავლების დონის ამაღლებისა და საერთო მიდგომების დანერგვის აუცილებლობიდან გამომდინარე, საგარეო საქმეთა სამინისტრომ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქართული ენის კურსის ფარგლებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების შესწავლას. ამ ინტეგრირებული პროგრამის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოების კომპლექტი, რომელიც მოიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოს, სამუშაო რვეულს, კალიგრაფიის რვეულს და მასწავლებლის გზამკვლევს. აღნიშნული სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ გადაეცემათ საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლებსა და ქართული ენის შემსწავლელ კურსებს.

დიასპორასთან ურთიერთობის სისტემური მიდგომის დანერგვის და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით, 2019 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის" საგრანტო პროგრამას. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის განვითარებაში დიასპორის ჩართულობის ხელშეწყობა, დიასპორული ინიციატივების წახალისება, დიასპორაში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, სახალხო დიპლომატიის განვითარება, თანამემამულეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

ახალგაზრდებთან და სტუდენტებთან ინსტიტუციონალური ურთიერთობის გაღრმავების მიზნით გრძელდება პროგრამის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" განხორციელება.

პროგრამა მიზნად ისახავს „ახალგაზრდა ელჩების“ მიერ ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს პოპულარიზაციას, უცხოელ მეგობართა ქსელის შექმნას და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობას. აღნიშნული პროგრამისადმი ყოველ წელს იზრდება ახალგაზრდების ინტერესი, რაზეც მიანიშნებს შემდგომი სტატისტიკა: 2018 წელს გამარჯვებულები 15 ქვეყანაში, ხოლო 2019 წელს, 25 ქვეყანაში გამოავლინა. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით.

საგარო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და, ასევე, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, 2018 წლიდან, სახელმწიფოს მიერ დიასპორის წარმომადგენლების ღვაწლისა და ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილის დაფასების მიზნით, ხორციელდება პროგრამა -„დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება“. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს განვითარების პროცესში მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამემამულეების ჩართულობის ხელშეწყობა. მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ ჩვენი თანამემამულეები, რომლებმაც პროფესიულ წარმატებებს მიაღწიეს ადგილსამყოფელ ქვეყნებში და ასევე, თავიანთი წვლილი შეიტანეს წარმოშობის ქვეყნის განვითარებაში.

ქართულ დიასპორასთან კომუნიკაციის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, დიასპორული ვებ-პორტალი: www.gda.ge შექმნა. პირველად შეიქმნა საკომუნიკაციო პლატფორმა - ერთი ფანჯრის პრინციპზე, ურთიერთსარგებლიანობაზე დაფუძნებული, მომხმარებელზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ინფორმაციისა და სერვისების მიმწოდებელი დიასპორული ვებ-გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეების და მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ერთმანეთთან და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირს. ამ ეტაპზე ვებ გვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობს.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეების ადგილსამყოფელ ქვეყნებში ინტეგრაციის მიზნით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) ერთად, საქართველოს მოქალაქეებისთვის მომზადდა და გამოიცა საბერძნეთის და იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის გზამკვლევები ქართულ ენაზე. გზამკვლევი პრაქტიკული სახელმძღვანელოა საბერძნეთსა და იტალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტებისთვის და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, როგორიც არის ვიზა, ბინადრობის ნებართვა და მისი მოპოვება, სოციალური დაცვა, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანდაცვა და ა.შ. მზად არის ესპანეთის საიმიგრაციო კანონმდებლობის გზამკვლევიც, რომლის პრეზენტაცია უახლოეს პერიოდში იგეგმება.

საგარეო საქმეთა სამინსიტრომ დიასპორასთან უშუალო, მჭიდრო კონტაქტების დამყარების მიზნით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად მიიჩნია დიასპორის წარმომადგენლებთან რეგულარული შეხვედრების დაწესება, რაც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ დიასპორის პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის მექანიზმების ერთობლივად დასახვა, დიასპორისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების გაცნობა და დიასპორასთან დაკავშირებული საკითხების, წინადადებების, პროექტების შემუშავებაში მათი ჩართულობა. საგარეო საქმეთა მინისტრის დავალებით, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები გარკვეული პერიოდულობით, რეგულარულად მართავენ შეხვედრებს დიასპორის წარმომადგენლებთან.

6. ბოლო წლების განმავლობაში (არანაკლებ სამ წლიანი პერიოდი) თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დახმარებების ძირითადი მიმართულებები (შედეგები).

- **პასუხი:** პანდემიის გამო მთელი რიგი ღონისძიებების გადადების მიუხედავად, საგარეო საქმეთა სამინისტრო, აგრძელებს დიასპორასთან მიმართებით დასახული პრიორიტეტების თანმიმდევრულ განხორციელებას, რომელიც არაერთ პროექტსა და პროგრამას მოიცავს. თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორცილებული ძირითადი პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-5 პუნქტში.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲭᲕᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲛ�გᲖᲐᲕᲠᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ �გᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ

ოქტომბერი, 2012

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატი, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ის აუცილებლად გადახედავს, როგორ იმუშავა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების ინიციატივამ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ზაქარეიშვილმა განუცხადა, აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნეიტრალურმა სამგზავრო დოკუმენტებმა არ გაამართლა, მას უმეტეს შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეები იღებდნენ და არა ის ადამიანები, რეალურად ვისთვისაც არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი მთავრობის ინიციატივა.

"ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტებთან დაკავშირებით კრიტიკული დამოკიდებულება რჩება. შესწავლილი უნდა იქნას აუცილებლად, თუ როგორ იმუშავა საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის პოლიტიკამ აღნიშნულთან დაკავშირებით. მე მივიდე და გავაუქმო – იქნება არასწორი. უნდა შევისწავლოთ, დავასაბუთოთ, სად იმუშავა და სად არ იმუშავა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ის არ მუშაობდა და რაღაც სიყალბეს ჰქონდა ადგილი. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კი ასაღებდა ამას ისე, ვითომ აფხაზები და ოსები იღებდნენ პასპორტებს. რეალურად, პასპორტს იღებდნენ საქართველოს მოქალაქეები (რომლებიც ცხოვრობდნენ თბილისში, ზუგდიდში, გორში და, შესაბამისად, აქვთ ქართული პასპორტები, აფხაზურ-ოსურ პასპორტებთან ერთად) და არა ის ხალხი, ვისთვისაც მიუღებელი იყო საქართველოს პასპორტის აღება და ორგანულად არ უნდოდათ ეს", - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა და აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა არასწორად იქნა მიღებული.

"ჩემი აზრით ეს იყო აბსოლუტურად ფუჭი და უპერსპექტივო ნაბიჯი. ეს რეალურად ქართული პასპორტი იყო და არა - ნეიტრალური. ვის ვატყუებდით, ვერ ვხვდები. ამ პასპორტის მქონეს, რომ დაეკარგა პასპორტი, უცხოეთში უნდა წასულიყო, საქართველოს საკონსულოში. ამ პასპორტის მქონეს, რომ გადასულიყო უცხოეთში, საქართველოს საკონსულო უნდა მომსახურებოდა. პასპორტზე დატვირთული სიმბოლიკაც საქართველოს აღნიშნავდა. ეს იყო ტყუილი და თუ ამ ტყუილმა იმუშავა, უნდა ვნახოთ, რამდენი ადამიანი ენდო",-აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ჩანაცვლება ალტერნატიული დოკუმენტებით არ მოხდება.

"ალტერნატიული ვარიანტი ამის არის მხოლოდ საქართველოს პასპორტი. საქართველოს აქვს თავისი სახელმწიფო პასპორტი. აფხაზები და ოსები ამბობდნენ ყოველთვის, რომ ჩვენ ხელს შევუშლიით მსოფლიოში მოგზაურობას. ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ, შევაღათიანი პირობებით იმოგზაურონ, ოღონდ აიღონ საქართველოს პასპორტები. ნეიტრალური პასპორტით ივლი მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, ვინც აღიარა. ქართული პასპორტით კი ივლი მთელ მსოფლიოში", - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში თუ გაუქმდება ნეიტრალური დოკუმენტები, ის შეღავათები რაც არსებობდა ამ პასპორტების მქონე პირთათვის დარჩება, ოღონდ საქართველოს პასპორტის მქონეთათვის.

„თუმცა, ასევე შესასწავლია თუ როგორ მუშაობდა შეღავათები", - დასძინა ზაქარეიშვილმა. შეგახსენებთ, რომ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და ნეიტრალური პირადობის მოწმობა წარმოადგენს ჰუმანიტარული ხასიათის საბუთს, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობას სოციალური სერვისების მიღებისა და საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს.

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ამ დროისათვის აღიარებულია იაპონიის, ჩეხეთის, ლატვიის, ლიტვის, სლოვაკეთის, აშშ-ის, ბულგარეთის, პოლონეთის, ისრაელისა და ესტონეთის მიერ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 943
02/06/2023

943-1-2-202306021431

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

მცხ.: [redacted]

ტელ.: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 1 მაისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების განახლების პროცესი, რის შედეგადაც დებულების ცალკეული მუხლები, მათ შორის აპარატის უფლებამოსილების ნაწილში ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით.

რაც შეეხება ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს, იგი 2012-2013 წლებში აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: აშშ, იაპონია, ისრაელი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი და უნგრეთი.

პატივისცემით,

ზვიად ზვიადაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა დეპარტამენტი

0134 თბილისი, ინგოროყვას ქ. 7 0134 Tbilisi, Ingorokva str. 7 ტელ./Tel.: (995 32) 292 18 91, ფაქსი/Fax: 292 16 50

Chrome File Edit View History Bookmarks Profiles Tab Window Help 30% Fri 2:13 PM
Mail - niko nikoladze - Outlook | ნეიტრალური დოკუმენტები | პირადობის ნეიტრალური მ | PSH - იუსტიციის სახლი
psh.gov.ge/main/page/1/65/447

- რა არის ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?
- ვისზე გაიცემა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?

  ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე.
- სად არის შესაძლებელი ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება?
- ვინ შეიძლება წარადგინოს განცხადება ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად?
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები
- რა ვადით გაიცემა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი
- დამზადებული ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის დაინტერესებულ პირზე გადაცემა
- მომსახურების ვადა და საფასური

https://psh.gov.ge/main/page/1/65/447#ac2367

Chrome File Edit View History Bookmarks Profiles Tab Window Help 29% Fri 2:14 PM
Mail - niko nikoladze - Outloo | ნეიტრალური დოკუმენტებ | პირადობის ნეიტრალური | intpass.sda.gov.ge/NeutralDo | JPG to PDF – Convert JPG Im
intpass.sda.gov.ge/NeutralDocDefault.aspx

ახალი განაცხადი

ვიდეო ინსტრუქცია

რეგისტრირებული განცხადების ნახვა

განაცხადის ნომერი

განაცხადის კოდი



გენერირება

საკონტროლო რიცხვი

ძებნა

Calendar

რას წარმოადგენს პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?

პირადობის ნეიტრალური მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას და მის საცხოვრებელ ადგილს საქართველოს ტერიტორიაზე. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ვის შეუძლია პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება?

პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება შეუძლია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომელთაც მიღებული არ აქვთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

როგორ მივიღო პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი სახლიდან გაუსვლელად?

სახლიდან გაუსვლელად პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად, იუსტიციის სახლის ვებგვერდზე უნდა შეავსოთ ელექტრონული განცხადება, ატვირთოთ თქვენი ბიომეტრიული ფოტოსურათი, საჭიროების შემთხვევაში წარადგინოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები, დაუკავშირდეთ დისტანციური მომსახურების სამსახურის ოპერატორს და პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში გამოხატოთ თქვენი ნება პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებასთან დაკავშირებით.

ვინ შეიძლება იყოს განმცხადებელი პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე ?

დისტანციური მომსახურებით პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად განაცხადის წარდგენა შეუძლია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და